ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7898128

ნომერი: AR11139606

თარიღი : 23.04.2026

გაცემის თარიღი : 28.04.2026

გაცნობის თარიღი : 28.04.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბობ უოლშის ქუჩა, N 42;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბიძინა ფხოველიშვილი პ/ნ 01026009027
- ქ. თბილისი, რ. ჩხიკვაძის #6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 22 აპრილის №7891702 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 23 აპრილს №AR11139606 განცხადებით მომართა ბიძინა ფხოველიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2026

წლის 22 აპრილის №7891702 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახური, 2026 წლის 22 აპრილის №7890357 გადაწყვეტილებით, დაეთანხმა ქ. თბილისში, ბობ უოლშის ქუჩა №42-ში მდებარე №01.72.14.009.677.03.01.106 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის ფასადზე I კლასის სამშენებლო სამუშაოების (კონდიციონერი და ბუნებრივი აირის ბოილერი) განხორციელების შესაძლებლობას.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 22 აპრილის №7891702 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არასწორად არის დაფიქსირებული განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2026 წლის 30 მარტის №AR11136157 განცხადებით მოთხოვნილ იქნა ქ. თბილისში, ბობ უოლშის ქუჩა №42-ში მდებარე №01.72.14.009.677.03.01.106 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის ფასადზე I კლასის სამშენებლო სამუშაოების (კონდიციონერი და ბუნებრივი აირის ბოილერი) განხორციელების შესაძლებლობაზე შესაბამისი თანხმობის მიღება. სამსახურის 2026 წლის 22 აპრილის №7891702 გადაწყვეტილებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა, ტექნიკური შეცდომის შედეგად გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 22 აპრილის №7891702 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 22 აპრილის №7891702 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ბობ უოლშის ქუჩა №42-ში მდებარე №01.72.14.009.677.03.01.106 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის ფასადზე I კლასის სამშენებლო სამუშაოების (კონდიციონერი და ბუნებრივი აირის ბოილერი) განხორციელების შესაძლებლობაზე შესაბამისი თანხმობის მიღებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება, ქ. თბილისში, ბობ უოლშის ქუჩა №42-ში მდებარე №01.72.14.009.677.03.01.106 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის ფასადზე I კლასის სამშენებლო სამუშაოების (კონდიციონერი და ბუნებრივი აირის ბოილერი) განხორციელების შესაძლებლობას.
- სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნეს კონსტრუქციული მდგრადობა.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 22 აპრილის №7891702 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 22 აპრილის №7891702 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.